

ახალი საქართველოს უნივერსიტეტი

სამაგისტრო პროგრამის აღწერილობა

პროგრამის სახელწოდება: ქრისტიანული ფსიქოლოგია 111808 / Christian Psychology 111808

მისანიჭებელი კვალიფიკაცია/აკადემიური ხარისხი: ქრისტიანული ფსიქოლოგიის მაგისტრი / MA in Christian Psychology

პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 120 (ECTS) კრედიტი, (1 კრედიტი = 25 საათს). პროგრამის ხანგრძლივობა 2 აკადემიური წელი (4 აკადემიური სემესტრი). ერთი აკადემიური სემესტრი მოიცავს 19 კვირას (აქედან: 15 კვირა მოიცავს სწავლა/სწავლების პროცესს, 1 კვირა - შუალედურ შეფასებებს, 3 კვირა - დასკვნითი გამოცდის მომზადებასა და შეფასებას).

პროგრამის განმახორციელებელი ძირითადი საგანმანათლებლო ერთეული:

მართლმადიდებლურ საღვთისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი

სწავლების ენა: ქართული

პროგრამის ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი გიორგი თავაძე

პროგრამის მიზანი

სამაგისტრო პროგრამის მიზანია თანამედროვე სტანდარტების დონეზე მოამზადოს ღრმა თეორიული და პრაქტიკული ცოდნის მქონე კვალიფიციური სპეციალისტები ქრისტიანულ ფსიქოლოგიაში, რომლებსაც შეეძლებათ ამ საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შეძენილი ცოდნა გამოიყენონ პრაქტიკაში და აღნიშნული მიმართულებით იმუშავონ როგორც საქართველოში, ასევე უცხოეთში. ამის საშუალებას მათ მისცემს სპეციალურად გაწერილი სასწავლო გეგმა, რომელიც შედგება სავალდებულო საგანმანათლებლო აკადემიური დისციპლინებისაგან, რადგან აქ საქმე ეხება ერთ-ერთ საღვთისმეტყველო (დოგმატურ) მეცნიერებას, რომლის ასათვისებლადაც, მართლმადიდებელი ეკლესიის დოგმატური მოძღვრებიდან გამომდინარე, სპეციალური სასწავლო კურიკულუმის შედგენა არის საჭირო. აღნიშნული სამაგისტრო პროგრამა, ქრისტიანული ფსიქოლოგიის შემსწავლელი აკადემიური დისციპლინების გარდა, მოიცავს ქრისტიანული ფილოსოფიისა და სოციალურ მეცნიერებათა იმ საზღვრითი საკითხების შესწავლასა და ათვისებას, რომლის გარეშე ქრისტიანული ფსიქოლოგიის აქტუალური პრობლემების განხილვა და ანალიზი სრულყოფილი ვერ იქნება. აქედან გამომდინარე, წინამდებარე სამაგისტრო პროგრამა ფოკუსირდება სამყაროს ერთიანი ქრისტიანული სურათის ირგვლივ და მოიცავს პიროვნული

განვითარების სულიერ, ფსიქოლოგიურსა და სოციალურ ასპექტებს, რომლებიც დიდ მნიშვნელობას იძენს როგორც თითოეული ადამიანის (ქრისტიანის) პირად ცხოვრებაში, ასევე მის პროფესიულ და სამსახურებრივ საქმიანობაში.

სასწავლო პროგრამა საშუალებას იძლევა მომზადდეს მეცნიერ-მკვლევარი ქრისტიანული ფსიქოლოგიის დარგში, რომელსაც ექნება თანამედროვე სამეცნიერო სტანდარტების შესატყვისი კომპეტენციები ქრისტიანული ფსიქოლოგიის წინაშე არსებული აქტუალური პრობლემების გადასაჭრელად. წინამდებარე სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში გაწერილი და გათვალისწინებული თემატიკა მაგისტრანტს საშუალებას აძლევს, მიიღოს შესაბამისი საგანმანათლებლო საფეხურის შესაბამისი თეორიული ცოდნა, განავითაროს და დახვეწოს ქრისტიანული ფსიქოლოგიის საფუძველმდებარე პრობლემების დმა და კრიტიკული ანალიზისა და ინტერპრეტაციის უნარი ფილოსოფიასა და თეოლოგიაში მიმდინარე აქტუალური დისკუსიებისა და დებატების გათვალისწინებით.

მაგისტრანტი შეიძენს ფართო და დეტალურ ცოდნას ქრისტიანული ფსიქოლოგიის კლასიკური და თანამედროვე ავტორების, ასევე, ეკლესიის მამათა მდიდარი ფსიქოლოგიური მემკვიდრეობის შესახებ; ის შეისწავლის ფსიქოლოგიური კონცეფციებისა და მოდელების ფართო სპექტრს, რომლის გამოყენებასაც შეძლებს ფსიქოლოგიური კონსულტირებისა და ფსიქოთერაპიის პრაქტიკული კურს(ებ)ის ფარგლებში. ამდენად, მას შეეძლება მის მიერ ათვისებული როგორც დარგობრივი, ასევე ინტერდისციპლინარული ცოდნის სათანადოდ გამოყენება თანამედროვე ადამიანის/სამყაროს აქტუალური პრობლემების ადეკვატური ანალიზისა და ეფექტური გადაჭრის პროცესში.

ქრისტიანული ფილოსოფიის მაგისტრს შესაძლებლობა ექნება, სწავლა განაგრძოს დოქტორანტურაში. მას შეუძლია დასაქმდეს როგორც მართლმადიდებლურ საეკლესიო ინსტიტუციებში, ასევე, კერძო საკონსულტაციო კომპანიებში, რომლებიც თავიანთ საქმიანობას ახორციელებენ ქრისტიანული მოძღვრებისა და სწავლების შესაბამისად. გარდა ამისა, კურსდამთავრებულს შეუძლია, დასაქმდეს საჯარო სექტორის ისეთ სეგმენტში, სადაც არსებობს ფსიქოლოგის კვალიფიკაციის საჭიროება.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

მაგისტრატურაში სწავლის უფლება აქვს არანაკლებ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს.

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 52¹ მუხლის 1¹ ნაწილის შესაბამისად, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტების ჩარიცხვა ხორციელდება საერთო სამაგისტრო გამოცდის გარეშე, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მიერ დადგენილი წესით (იხ. 2014 წლის 30 ივნისის ბრძანება №119 დანართი №1).

სტუდენტის სწავლის შედეგები

<p>ცოდნა და გაცნობიერება</p>	<p>აქვს სფეროს ღრმა და სისტემური ცოდნა, რომელიც აძლევს ახალი, ორიგინალური იდეების შემუშავების საშუალებას, აცნობიერებს ცალკეული პრობლემის გადაჭრის</p>	<p>✓ სასწავლო პროგრამის დასრულების შედეგად მაგისტრანტს ექნება ღრმა და საფუძვლიანი ცოდნა ქრისტიანულ ფსიქოლოგიაში (სულისა და სხეულის მიმართების პრობლემა, ცნობიერების მოდელები, ფსიქოლოგიური კონსულტირების</p>
-------------------------------------	---	--

	გზებს.	<p>სფერო, კონფლიქტების მენეჯმენტი და ა.შ.).</p> <ul style="list-style-type: none"> ✓ სიღრმისეულად ეცოდინება დარგში შემუშავებული თეორიული და ემპირიულ-კვლევითი მეთოდები, დარგის განვითარების ძირითადი კანონზომიერებები. ✓ კურსდამთავრებულს ექნება მეცნიერების უახლეს მიღწევებზე დაფუძნებული ფართო, ღრმა და სისტემური ცოდნა ქრისტიანულ ფსიქოლოგიაში, რაც მას შესაძლებლობას მისცემს მუშაობა წარმართოს საერთაშორისო სტანდარტების დონეზე და ობიექტური მეცნიერული ხედვის საფუძველზე მოახდინოს ადეკვატური ორიენტაცია პრობლემების გადაჭრის პროცესში. ✓ კურსდამთავრებულს მის მიერ ათვისებული სისტემური ცოდნის საფუძველზე შეეძლება ახალი, ორიგინალური იდეების შემუშავება და ცალკეული პრობლემების გადაჭრის გზების ჩამოყალიბება (მაგალითად, კონკრეტულ პრობლემურ სიტუაციაში კონსულტირების ეფექტური სტრატეგიის შემუშავება).
<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>	<p>ახალ, გაუთვალისწინებელ და მულტიდისციპლინურ გარემოში მოქმედება; კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების ძიება, მათ შორის, კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით.</p>	<ul style="list-style-type: none"> ✓ ქრისტიანული ფსიქოლოგიის მაგისტრს შეეძლება იპოვოს კომპლექსური პრობლემების გადაჭრის გზები, შეიმუშაოს ახლებური მეთოდოლოგიური მიდგომები, რომლებიც ახალი ცოდნის შექმნაზეა ორიენტირებული. შეეძლება დამოუკიდებლად აწარმოოს კვლევა თანამედროვე სამეცნიერო-კვლევითი მეთოდების გამოყენებით; შექმნას მეცნიერული ღირებულების მქონე საკვალიფიკაციო ნაშრომი და პუბლიკაციები; შეეძლება წარმატებული სამეცნიერო თანამშრომლობა მომიჯნავე დარგების წარმომადგენლებთან; შეეძლება გააანალიზოს და კრიტიკულად შეაფასოს როგორც თავისი, ასევე, სხვათა სამეცნიერო საქმიანობის შედეგები; არა მარტო შეიძინოს და დააგროვოს ცოდნა, არამედ სხვებსაც გადასცეს იგი; შეეძლება კვალიფიციურად მოამზადოს დარგის ცალკეული დისციპლინის სასწავლო-მეთოდური მასალები.

		<ul style="list-style-type: none"> ✓ მულტიდისციპლინარულ გარემოში განსაზღვროს პიროვნებათა მრავალმხრივი ცხოვრებისეული რისკების შეფასების პარამეტრები, მოახდინოს მათი ინდენტიფიკაცია, სისტემატიზაცია და დასახოს არსებული პრობლემების გადაჭრის ეფექტიანი გზები.
<p>დასკვნის უნარი</p>	<p>რთული და არასრული ინფორმაციის (მათ შორის, უახლესი კვლევების) კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება; უახლეს მონაცემებზე დაყრდნობით ინფორმაციის ინოვაციური სინთეზი.</p>	<ul style="list-style-type: none"> ✓ კურსდამთავრებულს ექნება ღრმა ანალიზისა და სინთეზური კვლევის უნარი; ქრისტიანული ფსიქოლოგიის პრობლემატიკის ღრმად, მეცნიერულად გააზრებისა და ადეკვატური ანალიზის უნარი. ათვისებული დისციპლინების საფუძველზე მას აგრეთვე შეეძლება ქრისტიანული ფსიქოლოგიის როლის, ფუნქციისა და ადგილის განსაზღვრა საღვთისმეტყველო მეცნიერებათა მდიდარ სპექტრში. ✓ კურსდამთავრებულს შეეძლება დარგობრივი სამეცნიერო ტიპის ტექსტების შექმნა და შესაბამისი თანამედროვე სტანდარტების მიხედვით გაფორმება და არგუმენტირება აკადემიური ფორმით; სხვების პოზიციის შეფასება-განხილვა კორექტული სახით; წერის დროს ადეკვატური ლექსიკისა და ენობრივი სტილის გამოყენება. ✓ კურსდამთავრებულს შეეძლება საფუძვლიანად აითვისოს თემის შერჩევის, მასალის მოპოვების და დამუშავების სპეციფიკა, გააცნობიეროს პროფესიის ფარგლებში ანალიტიკური და შემოქმედებითი პროცესის კვალიფიკაციის, ლოგიკის, ფსიქოლოგიისა და ეთიკის თვისებურებები, განავითაროს აკადემიური მიღწევებისადმი კრიტიკული მიდგომისა და განსჯის უნარი.
<p>კომუნიკაციის უნარი</p>	<p>თავისი დასკვნების, არგუმენტაციისა და კვლევის მეთოდების კომუნიკაცია აკადემიურ თუ პროფესიულ საზოგადოებასთან ქართულ და უცხოურ ენებზე, აკადემიური პატიოსნების სტანდარტებისა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მიღწევათა</p>	<ul style="list-style-type: none"> ✓ მაგისტრანტი შეიძენს აკადემიურ საზოგადოებასთან მიმართებით წერილობითი და ზეპირი ფორმით მშობლიურ და უცხოურ ენებზე კომუნიკაციის საჭირო უნარს, რაც მას შესაძლებლობას მისცემს, რომ წარმოადგინოს პროფესიული აუდიტორიის წინაშე საკუთარი მოსაზრებები და არგუმენტები თანამედროვე მეცნიერული დისკურსის შესატყვისი

	გათვალისწინებით.	საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით. ✓ შეეძლება, რომ შეძენილი ცოდნა მის მიერ ათვისებული კვლევითი მეთოდების გამოყენებით მიაწოდოს პროფესიულ აუდიტორიას და ფართო საზოგადოებას ზეპირად და წერილობით.
სწავლის უნარი	სწავლის დამოუკიდებლად წარმართვა, სწავლის პროცესის თავისებურებების გაცნობიერება და სტრატეგიულად დაგეგმვის მაღალი დონე.	✓ კურსდამთავრებული მიიღებს დარგის უახლეს მიღწევებზე დამყარებულ ცოდნასა და სწავლის უნარ-ჩვევებს, რაც მას შესაძლებლობას მისცემს დამოუკიდებლად გააცნობიეროს მის წინაშე არსებული თეორიული პრობლემების თავისებურებები და სპეციფიკა, თვითონვე დაგეგმოს მათი ეფექტური გადაჭრისა და გადაწყვეტის გეგმები და სტრატეგიები.
ღირებულებები	ღირებულებებისადმი თავისი და სხვების დამოკიდებულების შეფასება და ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანა.	✓ სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში შეძენილი ცოდნა და სწავლის უნარ-ჩვევები მაგისტრანტს შესაძლებლობას მისცემს ადეკვატურად შეაფასოს თავისი და სხვების დამოკიდებულება ქრისტიანული აზროვნების საფუძველმდებარე ღირებულებებისადმი და თვითონაც მიიღოს მონაწილეობა ქრისტიანული ღირებულებების საზოგადოებრივ ცხოვრებაში დამკვიდრების საქმეში. ✓ შეძენილი კომპეტენციების საფუძველზე ქრისტიანული ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებული შეძლებს თავისი წვლილი შეიტანოს რელიგიათა შორის არსებული დიალოგის პროდუქტიულად წარმართვის პროცესში, რადგან მას კარგად ექნება გათავისებული პიროვნებათაშორისი კომუნიკაციის თავისებურებანი, მედიაციისა და კონფლიქტების მენეჯმენტის ფუნდამენტური პრინციპები. ✓ ქრისტიანული ფსიქოლოგიის მაგისტრი შეძლებს ქრისტიანული მართლმადიდებლური სწავლებისა და ქართული საღვთისმეტყველო აზროვნების ფუნდამენტური პრინციპებისა და ღირებულებების ქართულ საზოგადოებრივ

		ცხოვრებაში რეაქტულიზებას და საერთაშორისო დონეზე მის პოპულარიზებას.
--	--	--

სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები

პროგრამაზე სწავლის შედეგების მისაღწევად ლექციის, სამუშაო ჯგუფში მუშაობის, პრაქტიკული მეცადინეობის, დამოუკიდებელ მეცადინეობის, სასწავლო, სამეცნიერო და საწარმოო პრაქტიკის, შუალედური და დასკვნითი შეფასებების/გამოცდების მომზადება-ჩაბარების, სასწავლო-სამეცნიერო ნაშრომზე (საკურსო ნაშრომი, მოხსენება კონფერენციაზე, სამეცნიერო წერილი, საპატენტო განაცხადი, სამაგისტრო ნაშრომი) მუშაობის, სასწავლო-სამეცნიერო ნაშრომის დაცვისა და სხვა შესაბამის ფორმატში გამოიყენება ისეთი მეთოდები, როგორცაა: წიგნზე მუშაობის მეთოდი (ამონაწერების/ჩანაწერების გაკეთება, მასალის დაკონსპექტება, თეზისების შედგენა, რეფერატის ან ესეს შესრულება და სხვ.), ვერბალური მეთოდი, ლაბორატორიული მეთოდი (ვიზუალურად წარმოდგენილი მასალების ესთეტიურობა, პრეზენტაციის ტექნოლოგია, აპარატურის მოხმარების, ვიდეომასალის დემონსტრირება), პრაქტიკული მეთოდი (საწარმოოგაცნობითი, პედაგოგიური, პროფესიული, საველე და სხვ.), ევრისტიკული მეთოდი და სხვა. ზემოთ ჩამოთვლილი მეთოდების რეალიზაციის საშუალებებია: დისკუსია, დებატები, ჯგუფური მუშაობა, პრობლემაზე დაფუძნებული და ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება, შემთხვევის და მისი სტატისტიკური ანალიზი, გონებრივი იერიში, მოდელირებული სიტუაციების განხილვა, სიტუაციური თამაშები, ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი, სინთეზი, ახსნა-განმარტება, რაციონალური საკითხის დასმა, გადაწყვეტის გზა და მეთოდი, შედეგი და არგუმენტაცია; რეგლამენტის დაცვა, ლოგიკური მსჯელობა, სწორი დასკვნების გაკეთება, შეკითხვებზე ოპტიმალური პასუხი.

პროგრამის შემადგენელი კონკრეტული სასწავლო კურსის სწავლების პროცესში გამოყენებული სწავლების/სწავლის მეთოდები მითითებულია თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

სტუდენტის ცოდნის, მიღწეული პროგრესის შეფასების მიზანია ხარისხობრივად განსაზღვროს მისი სწავლის შედეგები საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებთან და პარამეტრებთან მიმართებით.

მოდულის/სასწავლო კურსის ფარგლებში შეფასების სტრუქტურა იყოფა ისეთ ორ ელემენტად, როგორცაა შუალედური შეფასება და დასკვნითი შეფასება. თითოეულს შეფასების სისტემაში აქვს თავისი პროცენტული წილი. შეფასების შუალედური ელემენტი შეიძლება დაიყოს (აქტიურობა, რეფერატის პრეზენტაცია, პრაქტიკული სამუშაოები და ა.შ.) კომპონენტებად, რომლებსაც აგრეთვე თავისი პროცენტული წილი აქვთ ამ ელემენტის ფარგლებში. შესაბამისი პროცენტული წილის გათვალისწინებით, ყოველი კონკრეტული შეფასება ეყრდნობა ორივე ელემენტის ჯამურ შედეგებს.

როგორც შუალედური შეფასების, ასევე დასკვნითი შეფასების/გამოცდის (წერიტი, ზეპირი) ფორმატი, შეფასების კომპონენტები და მათი ზოგადი ხვედრითი წილი, განსაზღვრულია სასწავლო კურსის წამყვანი პერსონალის მიერ, სასწავლო კურსით (სილაბუსით).

კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის (ECTS) რანჟირების სკალის შესაბამისად, სტუდენტთა ცოდნის შესაფასებლად გამოიყენება კრედიტი - ერთეული, რომელიც გამოხატავს სტუდენტის მიერ ერთი საგნის ასათვისებლად შესასრულებელი სამუშაოს მოცულობას, გამოხატულს დროის ერთეულში - საათებში.

კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სასწავლო კურსით (სილაბუსით) დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება დადგენილი შეფასების სისტემით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასებით.

დაუშვებელია სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად - მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება. სტუდენტის ცოდნის შეფასება გარკვეული შეფარდებით ითვალისწინებს შუალედურ შეფასებებს და დასკვნითი გამოცდის შეფასებას.

სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია.

დასკვნითი გამოცდა არ ფასდება 40 ქულაზე მეტით. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით უგროვდება 51 ქულა.

სტუდენტის ცოდნის დონის განსაზღვრისათვის დაშვებულია:

ა) ხუთი სახის დადებითი შეფასება:

ა.ა) (A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;

ა.ბ) (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;

ა.გ) (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;

ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;

ა.ე) (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%.

ბ) ორი სახის უარყოფითი შეფასება:

ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სამაგისტრო პროგრამის სასწავლო კომპონენტებისთვის დადებითი შეფასებების დეტალური კრიტერიუმები შეფასების მეთოდების მიხედვით განისაზღვრება შემდეგნაირად:

51-60 ქულა: -

აქტიურობა: სტუდენტი დავალებებს ვერ წარმოადგენს განსაზღვრულ ვადებში, ამჟღავნებს დავალების ზედაპირულ ცოდნას ბევრი არსებითი შეცდომით, ჯგუფში მუშაობის დროს ჩართულობის ხარისხი ძალიან დაბალია, არაა აქტიური.

დისკუსია: იშვიათად მონაწილეობს დისკუსიაში, ახერხებს საკუთარი აზრის მეტ-ნაკლებად დასაბუთებას, ფაქტებისა და ლოგიკური მსჯელობის გარეშე, იცავს მართლმეტყველების ელემენტარულ წესებს, მეტ-ნაკლებად გამართულად საუბრობს, იშვიათად იყენებს

არავერბალური კომუნიკაციის ფორმებს, იშვიათად უსმენს სხვებს და ხშირად ერთვება სხვის საუბარში, ყოველთვის არ იცავს დისკუსიის წესებს და დროის ლიმიტს.

შუალედური გამოცდა: ავლენს საკითხის ზედაპირულ ცოდნას, პასუხი ბოლომდე არაა სრულყოფილი, აღინიშნება ერთი-ორი არსებითი შეცდომა. ტერმინოლოგია ნაკლოვანია.

პრეზენტაცია (რეფერატი და ა.შ.): პრეზენტაციის შინაარსობრივი და ვიზუალური მხარე სუსტია, პრეზენტაციის დროის მართვა - არაეფექტური, სტუდენტი მასალას სუსტად იცნობს.

დასკვნითი გამოცდა: სტუდენტს არასაკმარისად აქვს ათვისებული ძირითადი ლიტერატურა, ამჟღავნებს საკითხის არასრულყოფილ ცოდნას. ტერმინოლოგია მწირია.

61-70 ქულა: -

აქტიურობა: სტუდენტი დავალებებს წარმოადგენს განსაზღვრულ ვადებში, ათვისებული აქვს პროგრამით გათვალისწინებული შესაბამისი მასალა ხარვეზებით, არსებითი შეცდომების გარეშე, მეტ-ნაკლებად მონაწილეობს ჯგუფში მუშაობის დროს, არის აქტიური, თანამშრომლობს სხვებთან.

დისკუსია: ხშირად მონაწილეობს დისკუსიაში, ახერხებს საკუთარი აზრის მეტ-ნაკლებად დასაბუთებას ფაქტების მოშველიებითა და ლოგიკური მსჯელობის გამოყენებით; იცავს მართლმეტყველების წესებს, საუბრობს გამართულად, იყენებს არავერბალური კომუნიკაციის ფორმებს, უსმენს სხვებს, იცავს დისკუსიის წესებს და დროის ლიმიტს.

შუალედური გამოცდა: ავლენს საკითხის საშუალო ცოდნას, პასუხი ბოლომდე არაა სრულყოფილი, აღინიშნება რამდენიმე შეცდომა, თუმცა არაარსებითი. ტერმინოლოგია ნაკლოვანია. ჩანს ძირითადი ლიტერატურის ფლობა.

პრეზენტაცია (რეფერატი და ა.შ.): პრეზენტაციის შინაარსობრივი და ვიზუალური მხარე საშუალოა, პრეზენტაციის დროის მართვა - დამაკმაყოფილებელი, სტუდენტი მასალას იცნობს, მაგრამ არა კარგად.

დასკვნითი გამოცდა: სტუდენტი ამჟღავნებს საკითხის ცოდნას, ფლობს ძირითად ლიტერატურას, მაგრამ უშვებს შეცდომებს ტერმინოლოგიაში, ლოგიკური ბმები სუსტია.

71-80 ქულა: -

აქტიურობა: სტუდენტი დავალებებს წარმოადგენს განსაზღვრულ ვადებში, ათვისებული აქვს პროგრამით გათვალისწინებული შესაბამისი მასალა რამდენიმე ხარვეზით, არსებითი შეცდომების გარეშე, ყოველთვის მონაწილეობს ჯგუფში მუშაობის დროს, არის აქტიური, თანამშრომლობს სხვებთან.

დისკუსია: ხშირად მონაწილეობს დისკუსიაში, ახერხებს საკუთარი აზრის დასაბუთებას ფაქტების მოშველიებითა და ლოგიკური მსჯელობის გამოყენებით; იცავს მართლმეტყველების წესებს, საუბრობს გამართულად, იყენებს არავერბალური კომუნიკაციის ფორმებს, უსმენს სხვებს, იცავს დისკუსიის წესებს და დროის ლიმიტს.

შუალედური გამოცდა: ავლენს საკითხის კარგ ცოდნას, აღინიშნება რამდენიმე შეცდომა, თუმცა საკმაოდ უმნიშვნელო. ტერმინოლოგია სწორია. ჩანს ძირითადი და დამხმარე ლიტერატურის ფლობა.

პრეზენტაცია (რეფერატი და ა.შ.): პრეზენტაციის შინაარსობრივი და ვიზუალური მხარე კარგია, პრეზენტაციის დროის მართვა - კარგი, სტუდენტს მასალა კარგად აქვს გააზრებული, მსჯელობს და აზროვნებს ლოგიკურად. შესაძლოა უმნიშვნელო შეცდომების არსებობა.

დასკვნითი გამოცდა: სტუდენტი ამჟღავნებს საკითხის კარგად ცოდნას, ფლობს ძირითად და დამხმარე ლიტერატურას, ნაშრომში მხოლოდ უმნიშვნელო შეცდომებია, ლოგიკური ბმები კარგია.

81-90 ქულა: -

აქტიურობა: სტუდენტი დავალებებს წარმოადგენს განსაზღვრულ ვადებში, ათვისებული აქვს პროგრამით გათვალისწინებული შესაბამისი მასალა ხარვეზების გარეშე, ხშირად მონაწილეობს ჯგუფში მუშაობის დროს, არის აქტიური, თანამშრომლობს სხვებთან.

დისკუსია: ხშირად მონაწილეობს დისკუსიაში, ახერხებს საკუთარი აზრის დასაბუთებას ფაქტების მოშველიებითა და ლოგიკური მსჯელობის გამოყენებით; არგუმენტები ეფექტურია და დამაჯერებელი; იცავს მართლმეტყველების წესებს, საუბრობს გამართულად, იყენებს არავერბალური კომუნიკაციის ფორმებს, უსმენს სხვებს, იცავს დისკუსიის წესებს და დროის ლიმიტს.

შუალედური გამოცდა: ავლენს საკითხის ძალიან კარგ ცოდნას, შინაარსობრივი შეცდომები არ გვხვდება. ტერმინოლოგია სწორია. ჩანს ძირითადი და დამხმარე ლიტერატურის კარგი ფლობა.

პრეზენტაცია (რეფერატი და ა.შ.): პრეზენტაციის შინაარსობრივი და ვიზუალური მხარე კარგია, პრეზენტაციის დროის მართვა - ეფექტური, სტუდენტს მასალა კარგად აქვს გააზრებული, მსჯელობს და აზროვნებს ლოგიკურად.

დასკვნითი გამოცდა: სტუდენტი ამჟღავნებს საკითხის კარგად ცოდნას, ფლობს ძირითად და დამხმარე ლიტერატურას, ნაშრომში შინაარსობრივი შეცდომები არ გვხვდება, ლოგიკური ბმები კარგია.

91-100 ქულა: -

აქტიურობა: სტუდენტი დავალებებს წარმოადგენს განსაზღვრულ ვადებში და სისტემატურად, ზედმიწევნით კარგად ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ შესაბამის მასალას, ჯგუფში მუშაობის დროს ჩართულობის ხარისხი მაღალია; ამჟღავნებს დაინტერესებას და ინიციატივას, თანამშრომლობს სხვებთან, არის შემოქმედებითი.

დისკუსია: სისტემატურად მონაწილეობს და ხშირად თავადაც წარმართავს დისკუსიას; მკაფიოდ და გასაგებად აყალიბებს აზრს, მსჯელობს არგუმენტირებულად, აკეთებს დასკვნებს, მოსაზრება ორიგინალურია და გამყარებულია ფაქტებით და ცნებებით; არის ლოგიკური კავშირი საკითხთან, გამართულად მეტყველებს, ადეკვატურად იყენებს ენობრივ-გამომსახველობით საშუალებებს და არავერბალური კომუნიკაციის ფორმებს (თვალთ, ჟესტებით, ხმით), ისმენს და კონსტრუქციულად პასუხობს განსხვავებულ აზრს, კორექტულია ოპონენტის მიმართ, იცავს დისკუსიის წესებს და დროის ლიმიტს.

შუალედური გამოცდა: საკითხს ფლობს სიღრმისეულად, გადმოსცემს თანმიმდევრობით და ლაკონურად. ტერმინოლოგია გამართულია, ჩანს ძირითადი და დამატებითი ლიტერატურის საფუძვლიანი ფლობა და გამოყენების უნარი.

პრეზენტაცია (რეფერატი და ა.შ.): პრეზენტაციის შინაარსობრივი და ვიზუალური მხარე ძალიან კარგია, პრეზენტაციის დროის მართვა საკმაოდ ეფექტურად ხორციელდება.

დასკვნითი გამოცდა: სტუდენტი ამჟღავნებს საგამოცდო საკითხის ყოველმხრივ, სისტემურ და ღრმა ცოდნას. ღრმად და საფუძვლიანად აქვს ათვისებული, როგორც ძირითადი, ისე დამხმარე ლიტერატურა, რის გამოც ზედმიწევნით კარგად ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ მასალას. ზუსტად იყენებს მეცნიერულ ტერმინოლოგიას და ავლენს ანალიტიკურ უნარს.

სამაგისტრო პროგრამის სასწავლო კომპონენტებისთვის უარყოფითი შეფასებების დეტალური კრიტერიუმები შეფასების მეთოდების მიხედვით განისაზღვრება შემდეგნაირად:

41-50 ქულა: -

აქტიურობა: სტუდენტი დავალებებს ვერ წარმოადგენს განსაზღვრულ ვადებში, ამჟღავნებს დავალების ნაწილობრივ, ზედაპირულ ცოდნას რამდენიმე არსებითი შეცდომით, ჯგუფში მუშაობის დროს ჩართულობის ხარისხი ძალიან დაბალია, არაა აქტიური.

დისკუსია: სტუდენტი იშვიათად მონაწილეობს დისკუსიაში, უჭირს გამართულად საუბარი.

შუალედური გამოცდა: სტუდენტის პასუხი ბოლომდე არაა სრულყოფილი, აღინიშნება არაერთი შეცდომა. ტერმინოლოგია ნაკლოვანია.

პრეზენტაცია (რეფერატი და ა.შ.): პრეზენტაციის შინაარსობრივი და ვიზუალური მხარე წარმოდგენილია თანამედროვე რესურსის გამოყენების გარეშე და სტუდენტი წარმოდგენილ თემაზე ვერ ოპონირებს.

დასკვნითი გამოცდა: სტუდენტმა თავი ვერ გაართვა საკითხით გათვალისწინებული მასალის ნახევარსაც კი და უშვებს არაერთ არსებით შეცდომას. სტუდენტს საკითხზე აქვს ზოგადი წარმოდგენა, მაგრამ ვერ ახდენს ფრაგმენტების ერთმანეთთან დაკავშირებას.

40 და ნაკლები ქულა: -

აქტიურობა: სტუდენტი დავალებებს ვერ წარმოადგენს განსაზღვრულ ვადებში, ამჟღავნებს დავალების ზედაპირულ ცოდნას ბევრი არსებითი შეცდომით, ჯგუფში მუშაობის დროს ჩართულობის ხარისხი ძალიან დაბალია, არაა აქტიური. ან/და სტუდენტი საერთოდ არ ჩართულა ჯგუფში მუშაობის დროს. ძირითადად შემოიფარგლება დაკვირვებით.

დისკუსია: სტუდენტი საერთოდ არ მონაწილეობს დისკუსიაში.

შუალედური გამოცდა: სტუდენტი ვერ ფლობს ტერმინოლოგიას, პასუხი არსებითად მცდარია. გადმოსცემს საკითხის შესაბამისი მასალის მხოლოდ ცალკეულ ფრაგმენტებს, არ იცნობს ლიტერატურას.

პრეზენტაცია (რეფერატი და ა.შ.): სტუდენტი ვერ ახერხებს ჯგუფის ჩართულობას, არღვევს რეგლამენტს და არ აქვს პასუხები დასმულ კითხვებზე.

დასკვნითი გამოცდა: სტუდენტის პასუხი არსებითად მცდარია. ტერმინოლოგია არ არის გამოყენებული. სტუდენტის პასუხი საკითხის შესაბამისი არ არის. პასუხი არსებითად მცდარია. არ იცნობს ლიტერატურას ან/და საერთოდ ვერ ავლენს საკითხის გარშემო ელემენტარულ ცოდნას.

სტუდენტის მიერ სამაგისტრო პროგრამა ითვლება დასრულებულად, თუ მან მოაგროვა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კრედიტები და დადგენილი წესით, წარმატებით დაიცვა სამაგისტრო ნაშრომი.

სამაგისტრო ნაშრომი წარმოადგენს ერთგვარ შემაჯამებელ სამუშაოს, რითაც მოწმდება სპეციალობაში სტუდენტის არგუმენტაციის, ანალიზისა და სინთეზის უნარები და ასევე პრობლემების ხედვისა და შეფასების შესაძლებლობები. მასში ვლინდება სტუდენტის ცოდნის დონისა და შემოქმედებითი, კვლევითი უნარ-ჩვევების დონის შესაბამისობა სამაგისტრო პროგრამით განსაზღვრულ მოთხოვნებთან.

სამაგისტრო ნაშრომი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

ა) ნაშრომის მოცულობა არ უნდა იყოს A-4 ფორმატის 60 გვერდზე ნაკლები. შრიფტი: „Sylfaen“; შრიფტის ზომა: 12; სათაურებისა და ქვესათაურების ზომა: 14; სტრიქონებს შორის მანძილი: 1,5; გვერდის ველები (ყველა მხრიდან): 2 სმ;

ბ) ნაშრომის სტრუქტურაში გათვალისწინებულ უნდა იქნეს შემდეგი კომპონენტები:

ბ.ა) თავფურცელი (ნაშრომის პირველი გვერდი);

ბ.ბ) ანოტაცია (არაუმეტეს ერთ გვერდზე უნდა ასახავდეს სამაგისტრო ნაშრომის სტრუქტურას, მიზნებსა და მოკლე დასკვნას);

ბ.გ) შესავალი (თემის აქტუალობის დასაბუთება, მიზნები, ამოცანები, საკვლევი საგანი და გამოყენებული მეთოდები);

ბ.დ) ტექსტის ძირითადი ნაწილი (დაყოფილი უნდა იყოს თავებად და პარაგრაფებად. შეიძლება დაერთოს სქემები, ცხრილები, ნახაზები);

ბ.ე) დასკვნა (უნდა ასახავდეს სამაგისტრო ნაშრომის შედეგებს);

ბ.ვ) გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა (წარმოდგენილი უნდა იყოს ნაშრომის ბოლოს ანბანური თანმიმდევრობით. ჯერ გამოცემები ქართულ ენაზე, ხოლო შემდეგ გამოცემები უცხოურ ენებზე).

ბ.ზ) გამოყენებული ლიტერატურის ნუსხაში უნდა მიეთითოს:

ბ.ზ.ა) პერიოდული გამოცემის გამოყენების შემთხვევაში: ავტორის (ავტორების) გვარი და ინიციალები, ნაშრომის სახელწოდება, წელი, ტომის ნომერი, სამეცნიერო ჟურნალის სახელწოდება (დახრილი შრიფტით), გამოცემის ნომერი და გვერდები, რომელზეც განთავსებულია ნაშრომი;

ბ.ზ.ბ) წიგნის ან მონოგრაფიის გამოყენების შემთხვევაში: ავტორის (ავტორების) გვარი და ინიციალები, სახელწოდება (დახრილი შრიფტით), გამოცემის წელი, გამოცემის ადგილი, გამომცემლობა;

ბ.ზ.გ) ინტერნეტის გამოყენების შემთხვევაში: მასალის ავტორის (ავტორების) გვარი და ინიციალები, ვებ-გვერდის ავტორი, მასალის დასახელება ლინკის მინიშნებით, ვებ-გვერდის მისამართი და მასალის მოძიების თარიღი;

ბ.ზ.დ) ელექტრონული გამოცემის გამოყენების შემთხვევაში: სტატიის ავტორის (ავტორების) გვარი და ინიციალები, სტატიის დასახელება, წელი, ელექტრონული გამოცემის დასახელება (დახრილი შრიფტით), გამოცემის ნომერი, თავი, პარაგრაფი (იწერება ფრჩხილებში), ვებ-გვერდის მისამართი და მასალის მოძიების თარიღი;

ბ.ზ.ე) სახელისუფლებო დოკუმენტების გამოყენების შემთხვევაში: ქვეყნის დასახელება, უწყების დასახელება რომელსაც ეკუთვნის დოკუმენტი, დოკუმენტის სახე (ბრძანება, კანონი და ა.შ.), დოკუმენტის დასახელება შესაბამისი საიდენტიფიკაციო ნომრისა და წლის მინიშნებით, ადგილი იმ გამოცემისა, რომელშიც მოძიებულია მითითებული დოკუმენტი და გამოცემის დასახელება, სადაც მოძიებული იქნა მითითებული დოკუმენტი;

ბ.ზ.ვ) ტექსტში გამოყენებული ლიტერატურა უნდა მიენიშნოს შემდეგნაირად: ციტატის ბოლოს იხსნება ფრჩხილი, სადაც იწერება დასახელებული ლიტერატურის რიგითი ნომერი თანდართული ნუსხის მიხედვით და გამოიყოფა მძიმით. შემდეგ კი მიეთითება გვერდები, საიდანაც აღებულია ციტატა ან თეზისი (მაგ.: 15, 150-161);

ბ.ზ.ზ) ნაშრომის ძირითად ნაწილში დამატებითი ინფორმაციის მისათითებლად გამოყენებულ უნდა იქნეს სქოლიო (მაგ.: იხ. დანართი 2).

გ) ნაშრომი უნდა აიკინძოს შემდეგი თანმიმდევრობით: თავფურცელი, ანოტაცია, სარჩევი, შესავალი, თავები, დასკვნა, გამოყენებული ლიტერატურა და დანართი (სქოლიო).

სტუდენტს სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობისას ჰყავს ხელმძღვანელი. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელს ირჩევს სტუდენტი, უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალიდან. სამაგისტრო ნაშრომის თემისა და ხელმძღვანელის არჩევა მაგისტრანტს შეუძლია მხოლოდ 60 კრედიტის დაფარვის შემდეგ, სწავლის მე-3 აკადემიური სემესტრის დასაწყისში, არაუგვიანეს აკადემიური სემესტრის დაწყებიდან ერთი თვის განმავლობაში. სამაგისტრო ნაშრომის თემის შეცვლა შეიძლება მხოლოდ ერთხელ, ჩაბარების ვადის დასრულებამდე არაუმეტეს ორი თვით ადრე, ხელმძღვანელთან შეთანხმებით და უნივერსიტეტის ძირითადი საგანმანათლებლო სტრუქტურული ერთეულის (ფაკულტეტების) დეკანისათვის წერილობითი განცხადების წარდგენით.

სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი: სტუდენტის მიერ სამაგისტრო ნაშრომის სწორი მიმართულებით წარმართვის მიზნით, ეხმარება მას თემის შერჩევაში, სამუშაო გეგმის შედგენასა და ბიბლიოგრაფიის დამუშავებაში; ამოწმებს თემაზე სტუდენტის მუშაობის მიმდინარეობას, გამოთქვამს შენიშვნებსა და რეკომენდაციებს; კვლევის არასწორი მიმართულებით წარმართვის შემთხვევაში, ეხმარება სტუდენტს მის კორექციაში; სტუდენტის მიერ სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის დასრულების შემდეგ, ამ შინაგანაწესით დადგენილი წესით, სამაგისტრო ნაშრომს განიხილავს (წინასწარი განხილვა) და აფასებს 30 ქულის ფარგლებში არაუგვიანეს 2 კვირის ვადაში.

სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელს უფლება აქვს წერილობით მოტივირებული უარი თქვას სტუდენტის სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობაზე, როგორც მუშაობის დაწყებამდე, ასევე თემაზე მუშაობის პროცესშიც, მუშაობის დაწყებიდან არა უგვიანეს ერთი თვისა.

სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის მიერ სამაგისტრო ნაშრომის არანაკლებ 11 ქულით შეფასების შემთხვევაში, ნაშრომი საერეცენზიოდ გადაეცემა რეცენზენტს, რომელიც ამ შინაგანაწესით დადგენილი წესით, სამაგისტრო ნაშრომს განიხილავს (წინასწარი განხილვა) და ასევე აფასებს 30 ქულის ფარგლებში არაუგვიანეს 2 კვირის ვადაში.

სამაგისტრო ნაშრომი შეფასების საერთო სისტემაში განისაზღვრება დამოუკიდებელი პროცენტული წილით, მისი დადგენილი წესით დაცვის შედეგად მიღებული შეფასება კი აღინიშნება შესაბამისი დიპლომის სტანდარტულ დანართში.

სამაგისტრო ნაშრომის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია, რაც ნაწილდება შეფასების შემდეგ კომპონენტებზე:

ა) სამაგისტრო ნაშრომის წინასწარი განხილვა - სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის მიერ - ფასდება 30 ქულით, შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

- ა.ა) თემის სიახლე და აქტუალობა - 5 ქულა;
- ა.ბ) საფუძვლიანად მოძიებული შესაბამისი ლიტერატურული წყაროები, მათი სისტემატიზაცია - 5 ქულა;
- ა.გ) საკვლევი საკითხის გარშემო არსებული მასალების შესწავლისა და წარმოჩენის უნარი - 5 ქულა;
- ა.დ) პრობლემის გამოკვეთის, კვლევისა და ანალიზის უნარი, მსჯელობის თანმიმდევრულობა - 10 ქულა;
- ა.ე) ნაშრომის ტექნიკური, სტილისტური და გრამატიკული გამართულობა - 5 ქულა.

ბ) სამაგისტრო ნაშრომის წინასწარი განხილვა - სამაგისტრო ნაშრომის რეცენზენტის მიერ - ფასდება 30 ქულით, შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

- ბ.ა) თემის სიახლე და აქტუალობა - 5 ქულა;

ბ.ბ) საფუძვლიანად მოძიებული შესაბამისი ლიტერატურული წყაროები, მათი სისტემატიზაცია - 5 ქულა;

ბ.გ) საკვლევი საკითხის გარშემო არსებული მასალების შესწავლისა და წარმოჩენის უნარი - 5 ქულა;

ბ.დ) პრობლემის გამოკვეთის, კვლევისა და ანალიზის უნარი, მსჯელობის თანმიმდევრულობა - 10 ქულა;

ბ.ე) ნაშრომის ტექნიკური, სტილისტური და გრამატიკული გამართულობა - 5 ქულა.

გ) სამაგისტრო ნაშრომის საჯარო დაცვა - ფასდება 40 ქულით ფაკულტეტის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი კომისიის მიერ, შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

გ.ა) წარმოდგენილი ნაშრომის გაცნობიერება - 10 ქულა;

გ.ბ) პრეზენტაციის ვერბალური მხარე - 15 ქულა;

გ.გ) პრეზენტაციის ტექნიკური მხარე - 5 ქულა;

გ.დ) კითხვებზე, შენიშვნებზე და რეკომენდაციებზე გაცემული პასუხი - 10 ქულა.

სამაგისტრო ნაშრომის საჯარო დაცვაზე გასვლის უფლების მოპოვებისათვის სტუდენტს, სამაგისტრო ნაშრომის წინასწარ განხილვაზე დაგროვილი უნდა ქონდეს მინიმუმ 11 ქულა.

სამაგისტრო ნაშრომის შეფასების ქულა გამოითვლება ფაკულტეტის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი კომისიის მიერ დაწერილ ქულათა საშუალო არითმეტიკულის მეშვეობით. სამაგისტრო ნაშრომი სტუდენტს შესრულებულად ჩაეთვლება, თუ შეფასებისას დააგროვებს 51 და მეტ ქულას.

სამაგისტრო ნაშრომის 41-50 ქულით შეფასების შემთხვევაში სტუდენტს ეძლევა დამატებით სამაგისტრო ნაშრომის საჯარო დაცვაზე ერთხელ გასვლის უფლება. სამაგისტრო ნაშრომის საჯარო დაცვასა და დამატებით დაცვას შორის შუალედი უნდა იყოს არა ნაკლებ 10 დღისა.

სამაგისტრო ნაშრომის 0-40 ქულით შეფასების შემთხვევაში სტუდენტს ენიჭება უფლება შეარჩიოს ახალი თემა და სამაგისტრო ნაშრომი ფაკულტეტის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი კომისიის წინაშე დაიცვას დადგენილი წესით.

ინფორმაცია პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი ადამიანური რესურსის შესახებ

პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი ადამიანური რესურსი განსაზღვრულია შესაბამისი კომპეტენციის მქონე სპეციალისტებთან, უნივერსიტეტის პერსონალის შრომით პოზიციებზე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაფორმებული აქტებით. კერძოდ სამაგისტრო პროგრამის სასწავლო კურსებს ახორციელებენ:

კურსი/მოდული/საგანი	სახელი, გვარი	კვალიფიკაცია
ქრისტიანული ფსიქოლოგია	გიორგი თავაძე	ფილოსოფიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
ქრისტიანული ფილოსოფია	თენგიზ ირემაძე	ფილოსოფიის დოქტორი, პროფესორი
ქრისტიანული ჰერმენევტიკა	გიორგი ხუროშვილი	ფილოსოფიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
მეცნიერული პროპედევტიკა და მეთოდოლოგია	გიორგი თავაძე	ფილოსოფიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
კვლევის მეთოდები ფსიქოლოგიაში I	ირაკლი კახიძე	ასოცირებული პროფესორი
განვითარების ფსიქოლოგია	ნოდარ ბელქანია	ფსიქოლოგიის დოქტორი, პროფესორი
კვლევის მეთოდები ფსიქოლოგიაში II	ირაკლი კახიძე	ასოცირებული პროფესორი
ქრისტიანული ეთიკა და ფსიქოლოგია	მიხეილ გოგატიშვილი	ფილოსოფიის დოქტორი, პროფესორი
ქრისტიანული ანთროპოლოგია	ლალი ზაქარაძე	ფილოსოფიის დოქტორი, პროფესორი
თანამედროვე მეცნიერება და ქრისტიანული აზროვნება	გიორგი ხუროშვილი	ფილოსოფიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
ორგანიზაციის ფსიქოლოგია	ნოდარ ბელქანია	ფსიქოლოგიის დოქტორი, პროფესორი
ფსიქოლოგიური კონსულტირება	მანანა სანაია	ფილოსოფიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
ფსიქოთერაპია და სოციალური კომპეტენცია	ნოდარ ბელქანია	ფსიქოლოგიის დოქტორი, პროფესორი
მედიაცია და კონფლიქტების მენეჯმენტი	გიორგი ხუროშვილი	ფილოსოფიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
მონაცემთა დამუშავების მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში	ირაკლი კახიძე	ასოცირებული პროფესორი
სამაგისტრო ნაშრომის მომზადება და დაცვა	სამეცნიერო ხელმძღვანელი	-